<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, სესილია თაყაიშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო პარკისთვის ქართველი შინდლერების სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, სესილია თაყაიშვილის ქუჩასთან არსებულ უსახელო პარკს მიენიჭოს ქართველი შინდლერების სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X:490120 Y:4616991
X:490175 Y:4616987
X:490183 Y:4617001
X:490169 Y:4616986
X:490206 Y:4616989
X:490103 Y:4616966
X:490156 Y:4616966
X:490086 Y:4616941
X:490115 Y:4616903
X:490146 Y:4616937
X:490070 Y:4616919
X:490108 Y:4616893
X:490129 Y:4616912
X:490120 Y:4616900
X:490067 Y:4616879
X:490106 Y:4616889
X:490109 Y:4616886
X:490048 Y:4616852
X:490134 Y:4616879
X:490035 Y:4616861
X:490027 Y:4616848
X:490089 Y:4616864
X:490040 Y:4616839
X:490107 Y:4616835
X:490027 Y:4616820
X:490035 Y:4616815
X:490069 Y:4616772
X:490077 Y:4616775
X:489992 Y:4616748
X:490079 Y:4616764
X:490041 Y:4616759
X:490072 Y:4616765
X:489992 Y:4616746
X:490042 Y:4616753
N
1:1,500

ქართველი შიდლერები

1908 წლის 28 აპრილს დაიბადა გერმანელი მრეწველი **ოსკარ შინდლერი,** რომელამც ჰოლოკოსტის წლებში 1200-ზე მეტი ებრაელი გადაარჩინა. მან სკონცენტრაციო ბანაკებში დატყვევებული ებრაელები საკუთარ ქარხანაში დაასაქმა და სიკვდილს გადაარჩინა.

"ქართველი შინდლერების": გრიგოლ ფერაძის, მიხეილ კედიას, სერგო მეტრეველისა და საბა კლდიაშვილის შესახებ მსოფლიომ უფრო მეტი ამ უნდა გაიგოს.

მათ იად ვა-შემის მუზეუმმა მიანიჭა "მსოფლიოს ხალხთა მართალი შვილების" წოდება. "მსოფლიოს ხალხთა მართალი შვილების წოდება იმ არაებრალეებს ენიჭებათ, რომლებმაც ებრაელებს დახმარება გაუწიეს ჰოლკოსტის წლებში.

ებრაელთა გადარჩენაში ჰოლოკოსტის დროს, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები იყვნენ, მათ შორის ქართველები.

გრიგოლ ფერაძე პოლონეთში მოღვაწე თეოლოგი იყო. იგი მეორე მსოფლიო ომის დროს ვარშავაში მართლმადიდებლური სასულიერო სკოლის დირექტორად მუშაობდა და ხშირად იფარებდა ნაცისტებისგან დევნილ ადამიანებს. გესტაპო 1942 წელს დაინტერესდა მისით და იმავე წლის მაისში დააპატიმრა. მას ბრალად ედებოდა პოლონელ იატაკქვეშელებთან თანამშრომლობა.

გრიგოლ ფერაძე 1942 წლის დეკემბერში ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში გარდაიცვალა: იგი გაზის კამერაში მრავალშვილიანი ებრაელის მაგივრად შევიდა, სადაც მას გაგუდვა ელოდა.

მიხეილ კედია საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პარიზში ცხოვრობდა. მან დიდი წვლილი შეიტანა ქართველი ებრაელების გადარჩენაში. მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციიას, საფრანგეთში ქართველთა დიასპორამ ნაცისტების წარმოადგენლობას გაუგზავნა წერილი, სადაც ამტკიცებდნენ, რომ ქართველებსა და ებრაელებს საერთო ენა, ცხოვრების წესი, ეროვნული ჩვეულებები აქვთ. ამ წერილში აღნიშნული იყო, რომ ქართველი ებრაელები სემიტები კი არა, ეთნიკური ქართველები იყვნენ. ეს წერილი გერმანელებისთვის დამაჯერებელი აღმოჩნდა, ხოლო ქართველი ებრაელები მეორე მსოფლიო ომის დროს ჰოლოკოსტს გადაურჩნენ.

სერგი მეტრეველი ჩრდილოეთ კავკასიაში, კისლოვოდსკში, ღვინის მწარმოებელ ქარხანაში მუშაობდა. მაშინ, როცა კისლოვოდსკს გერმანელები მიუახლოვდნენ, მან კომუნისტებსა და ებრაელებს საშუალება მისცა, რომ ქალაქი დაეტოვებინათ.

საბა კლდიაშვილი 1905 წელს ოდესაი დახვრიტეს, როდესაც შავრაზმელებმა ებრაელთა თემს დარბევა და უმისამართო სროლა დაუწყო. იგი 1873 წელს დაიბადა და საქართველოში დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ სწავლა ოდესის უნოვერსიტეტში განაგრძო ქიმიის ფაკულტეტზე. სწავლის დასრულების შემდეგ ამავე უნივერსიტეტში განაგრძო სამეცნიერო მოღვაწეობა.

Israeli House NET in your

Israel, Jerusalem, 12 Lincoln St.
Georgia, Tbilisi, 4 Freedom Sq.
+972 523 688071; +995 32 2997035/36
+995 577 530000; info@israelihouse.net

19 აპრილი, 2022

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს,
ნინო ვარდოსანიძეს

მოგახსენებთ, რომ თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის **ბატონი რევაზ სოხაძის** ინიციატივით, ვარკეთილში, თაყაიშვილის ქუჩაზე მოეწყო პარკი, სადაც „ისრაელის სახლის“ მხარდაჭერით, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის კედელზე მოიხატა ჰოლოკოსტის მსხვერპლის, ანა ფრანკის 30-მეტრიანი სურათი.
უახლოეს დღეებში კი პარკში დაიდგმება ქართველი შინდლერების მემორიალი.

ქალბატონო ნინო, მივმართავთ თბილისის საკრებულოსა და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას თხოვნით, აღნიშნულ პარკს დაერქვას ქართველი შინდლერების სახელი.

გაცნობებთ, რომ „ისრაელი სახლი“ საქართველოს კულტურის სამინისტროსთან ერთად, არის საქართველოში ევროსაბჭოს მიერ სერტიფიცირებული ებრაული კულტურული მემკვიდრეობის მარშრუტის ოფიციალური წარმდგენი. აღნიშნული პარკი შეტანილი იქნება კულტურული მემკვიდრეობის რუკაზე - როგორც კულტურული და ტურისტული ატრაქცია.

პატივისცემით,

იციკ მოშე
„ისრაელის სახლის“ ხელმძღვანელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032215849**
თარიღი: **07/06/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი "ისრაელის სახლის" ხელმძღვანელის იციკ მოშეს 2022 წლის 19 აპრილის საქმე #10/032210964-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს ვარკეთილში, კერძოდ სესილია თაყაიშვილის ქუჩასთან არსებული რეკრეაციული სივრცისთვის ქართველი შინდლერების სახელის მინიჭებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და გამოგვიგზავნოთ ზემოხსენებული რეკრეაციული სივრცის სიტუაციური ნახაზი დანართის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01221591423**
თარიღი: **08/06/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 07.06.2022 წლის #03-032215849 (07.06.2022წ. #14-01221583276-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი